პროექტის დასახელება: „აუტიზმის სპექტრის მქონე პირებისთვის სერვისების განვითარება საქართველოში“ (პროექტის 1-წლიანი გაგრძელება)

პროექტის ხანგრძლივობა: იანვარი 2018 - დეკემბერი 2018

პროექტის დონორი: ჩეხეთის რესპუბლიკის განვითარების სააგენტო

პროექტის აღწერა

პროექტის მიზანია, ხელი შეუწყოს აუტიზმის მიმართულებით სისტემური ცვლილებების განხორციელებას საქართველოში. პროექტი ასევე მიზნად ისახავს აუტიზმის ადრეული გამოვლენის გაუმჯობესებას პირველადი ჯანდაცვის რგოლის სპეციალისტთა გადამზადების გზით და აუტიზმის სპექტრის მქონე პირებთან მომუშავე პროფესიონალთა მომსახურების ხარისხის ამაღლებას მსოფლიოში აღიარებული მტკიცებულებაზე დაფუძნებული პროფესიული რესურსების შეთავაზების და გადამზადების გზით. პროექტი ასევე ზრუნავს სკოლამდელი ასაკის აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვების ინტეგრირებაზე და სასწავლო პროცესში ჩართულობაზე.

პროექტის მიზნები:

1. აუტიზმის სპექტრის მქონე პირთა მიმართ სისტემური მიდგომის ჩამოყალიბების ხელშეწყობა;
2. აუტიზმის ადრეული გამოვლენის და დიაგნოსტიკის სისტემის ხელშეწყობა;
3. სკოლამდელი საგანმანათლებლო სერვისების გაუმჯობესების ხელშეწყობა.

პროექტის შედეგები 2018 წელს

1. 2018 წლის განმავლობაში აუტიზმის მომსახურების სტანდარტები შეიქმნა პროექტის ფარგლებში ჩამოყალიბებული სამუშაო ჯგუფის მიერ, რომელიც სრულად დაკომპლექტებული იყო საქართველოს ქცევის თერაპევტთა ასოციაციის წევრებით. 2019 წლის იანვრიდან ქალაქ თბილისის მუნიცალიტეტის მერიამ უკვე დაიწყო ზემოაღნიშნული მომსახურების სტანდარტების დოკუმენტის შემადგენელი სტანდარტიზებული ანგარიშგების ფორმების გამოყენება, რომლითაც მოხდება გამოყენებითი ქცევითი ანალიზის (ABA) მეთოდოლოგიით მიმდინარე სერვისების ხარისხის შეფასება თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის „აუტიზმის სპეექტრის დარღვევის მქონე ბავშვების რეაბილიტაცია“ ქვეპროგრამის ფარგლებში. 2019 წლიდან

სერვისის მიმწოდებელი ცენტრებისთვის სავალდებულო გახდა ანგარიშგების ფორმების ელექტრონულად წარდგენა 2-15 წლის რეგისტრირებული აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვების საწყისი და განმეორებითი შეფასებისას. ასეთი შეფასება/გადაფასება უნდა განხორციელდეს ყოველ 6 თვეში ერთხელ. თბილისის მერიის 2019 წლის აუტიზმის ქვეპროგრამის აღწერილობა მოცემულია შემდეგ ბმულზე: http://www.tbilisi.gov.ge/img/original/2019/1/14/autizmi.pdf

2. 2018 წლის მაისიდან თბილისსა და საქართველოს 4 რეგიონში (იმერეთი, სამეგრელო, აჭარა და კახეთი) ჩატარდა ტრენინგები ახლად დამტკიცებული პროტოკოლის „აუტიზმის სპექტრის აშლილობის გამოვლენის, დიაგნოსტიკის და მართვის“ გაცნობის და ადვოკატორების მიზნით აუტიზმის სერვისის მიმწოდებლების, პირველადი ჯანდაცვის რგოლის წარმომადგენლების და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებისთვის. ტრენინგებში მონაწილეობა მიიღო 118-მა ექიმმა (პირველადი ჯანდაცვის რგოლი, ნევროლოგი, ფსიქიატრი), 82-მა აუტიზმის სპეციალისტმა (სერვისის მიმწოდებლები, სპეციალური პედაგოგები) და 33-მა მუნიციპალურმა წარმომადგენელმა.

3. ADOS-2 ოფიციალური ვერსიის თარგმნის ნებართვა კვლევის მიზნით გამოყენებისთვის ინსტრუმენტის ავტორისგან (Western Psychological Services) მიიღო პროექტის პარტნიორმა - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბავშვის განვითარების ინსტიტუტმა. ADOS-2-ის ინსტრუმენტის ქართულ კონტექსტთან ადაპტირების პროცესი დასრულდა 2018 წლის ბოლოს და თარგმანი გაეგზავნა დასამტკიცებლად ავტორს.

4. 2018 წელს საქართველოს 4 რეგიონში (აჭარა, იმერეთი, სამეგრელო და კახეთი) შესაძლებელი გახდა ADOS-2 ინსტუმენტით დიაგნოსტიკა, რომელსაც პროექტის ფარგლებში მომზადებული სპეციალისტთა ადგილობრივი გუნდი (ფსიქოლოგი, ფსიქიატრი) ახორციელებს. 2018 წლის განმავლობაში მათ უფასო დიაგნოსტიკა ჩაუტარეს 105 აუტიზმის საეჭვო დიაგნოზის მქონე ბავშვს. აქედან 55 შემთხვევაში აუტიზმის დიაგნოზი დადასტურდა. შეფასების ინსტრუმენტების 4 კომპლექტი პარტნიორ ორგანიზაციას გადაეცა პროექტის მიერ.

5. 2018 წელს გაგრძელდა ტრენინგები აუტიზმის სპექტრის მქონე პირთა შეფასების ინსტუმენტების (ABLLS-R, EFL) გამოყენებაში სამიზნე რეგიონის წარმომადგენლებისთვის. 41 სპეციალისტი მომზადდა შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებასა და განვითარების ინდივიდუალური გეგმების წერაში.

6. გაგრძელდა საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის ასოციაციის (თელავის ადრეული განვითარების ცენტრი) პროფესიული გაძლიერება სუპერვიზიის გზით და ყოველთვიურად აუტიზმის სპექტრის მქონე 4 ბავშვის ქცევითი თერაპიის ხელშეწყობა.

7. 2018 წელს გაიხსნა კიდევ ერთი ჯგუფი აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვებისთვის ქალაქ თელავის მე-7 საბავშვო ბაღში. მომზადდა თელავის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების 41 თანამშრომელი სკოლამდელ ინკლუზიურ განათლებასა და აუტიზმის მქონე ბავშვებისთვის დამახასიათებელი ქცევის მართვაში. სპეციალური პედაგოგის 10 ახალი პოზიცია შეიქმნა თბილისის, თელავის და ზუგდიდის საპილოტე საბავშვო ბაღში, სადაც 5-7 ბავშვი ემზადება ტრანზიციისთვის რეგულარულ სასწავლო პროცესში.